პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 241 (5042) | ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სერიოზული გაფრთხილება (მე-1 გვ.)

პროლეტარული დედაქალაქი ასახელებს თავის ქანდიდატებს (1-ლი გვ.)

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება — ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ (მე-2 გვ.)

გ. მიხანაშვილი, ა. სირუნიანი — საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებას მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა (მე-3 გვ.)

დ. ჯანელიძე — რუსთაველის ეპოქის საპატრიოტო სანაზღაურო (მე-4 გვ.)

ხალხური სიმღერისა და ცეკვის თვითდასტურებული ოსტატები (მე-4 გვ.)

მე-8 არმიის გმირული ბრძოლის ისტორიიდან (მე-4 გვ.)

დიდი მელავარება მანჯურიაში (მე-4 გვ.)

სერიოზული გაფრთხილება

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვას გლეხობის კეთილდღეობისათვის ახალ-ახალი წარმატებები მოსდევს. საკოლმეურნეო სოფლის შეიარაღებამ ტრაქტორებით, გაიმჯობესებულ მანქანა-იარაღებით, საკოლმეურნეო წუობილების განმტკიცებამ არტელის სტალინური წესდების საფუძველზე და აგრონომიკურ ღონისძიებათა ფართოდ დანერგვამ ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წელს უხვი მოსავალი მიაღებინა. საკოლმეურნეო სოფელი ხვავითა და ბარაქით ივსება.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. ასეთივე ბარაქიანი მოსავალი და გაცილებით კიდევ უფრო მეტი უნდა მივიღოთ 1938 წელს. საშემოდგომო ხვნა-თესვის ორგანიზებულად ჩატარებით სწყდება მომავალი წლის მოსავლის ბედი. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ჯერ-ჯერობით ყველგან არ ესმით. ზოგიერთ რაიონში ხვნა-თესვა ნელა მიდის. ამ საქმეში ჯერ კიდევ ვერ შეუფარდეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოებს.

„კომეწისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მიწსახკომის ოპერატიული ცნობები მოწმობენ, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვაში დიდი გარღვევაა. საშემოდგომო ხვნა 1 ოქტომბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. მიუხედავად ამისა, 15 ოქტომბრისათვის ეს სამუშაო მთელს საქართველოში შესრულებული იყო მხოლოდ 75,6 პროცენტით. აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ბოგდანოვკის, ბორჯომის, თელავის, ყვარლის, წალკისა და ლაგოდეხის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთში საშემოდგომო ხვნა თვითდინებაზეა მინდობილი.

ადგილებზე აშკარა შეუფასებლობას იჩენენ მოსაკიაინობის გადიდების ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი, როგორიცაა მძრალად ხვნა. განა სამარცხვინო მაჩვენებელი არ არის ის, რომ მძრალად ხვნის გეგმა საქართველოში შესრულებულია მხოლოდ 12,8 პროცენტით?

აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თესლის დახარისხების მხრივ. რაიმეშეგნები და მტკიცე ცუდად ხელმძღვანელობენ ამ სამუშაოს. მათ დღემდე ვერ უზრუნველყვეს ტრიერების სრული წესრიგში მოყვანა; ხშირია შემთხვევა, როცა ტრიერი უქმად დგას წვრილმანი რემონტის გამო. ეს ამიტომ ხდება, რომ შინდერად მოწყობილი არ არის მძრავი სახელოსნოები. შედეგად საკოლმეურნეო გუთნიანების რაოდენობა სათესლო მასალის დახარისხების გეგმა შესრულებული აქვს 48,2 პროცენტით, ყვარლისას—33,4-ით, თბილისისას—55,1-ით, ყარაიისას—57,2-ით, წალკისას—59,7-ით, ამბროლაურისას—35,3-ით.

თესვის მხრივ დავალება სერიოზულია. საქართველოში სულ უნდა დაითესოს 304.243 ჰექტარი. მაგრამ დგილებზე თესვის ვადები აშკარად დარღვეულ. საშემოდგომო კულტურების თესვა მთელს საქართველოში უნდა დამთავრებულიყო 15 ოქტომბრისათვის. სინამდვილეში ამ რაიონისათვის დათესილი იყო 97.454 ჰექტარი—გეგმის 32,1 პროცენტი. თესვა შარშანდელზე უფრო ცუდად მიმდინარეობს. შარშან ამ დროისათვის დათესილი იყო 118,864 ჰექტარი (გეგმის 40,5 პროცენტი).

საბჭოების დიადი ქვეყანა გაჯერებით ემზადება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებრად. ახლოვდება ის დრო, როცა სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ადამიანები უნდა მივიდნენ საარჩევნო ყუთთან და უზენაეს საბჭოში აირჩიონ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბოლოშიც ერთგული ადამიანები. ეს იწვევს სოციალისტური შეჯიბრების ახალ ტალღას საწარმოო დავალებათა უკეთ შესრულებისათვის.

სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ სათავეში ჩაუდგნენ მასების გაზრდილ აქტივობას და განაგრძობენ კუდში ჩანჩალს. ეს ითქმის საშემოდგომო თესვის მიმდინარეობაზე.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციას არ გამოუტანია სათანადო დასკვნა ამ ხანაგ ლ. ბერიას მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეათე ყრილობაზე მოცემული მითითებიდან, რომ 1940 წლისათვის: „...გავადიდოთ მოსავლიანობა ჰექტარზე 15 ცენტნერამდე და მთელი მარცვლეულის მოსავალი—80 მილიონ ფუთამდე და საკუთარი პურით ძირითადად დავაკმაყოფილოთ საქართველოს მოთხოვნილება“.

მთიან რაიონებს, როგორიცაა წალკა და ბოგდანოვკა, თესვა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ უნდა დაემთავრებინათ. მაგრამ ისინი კვლავ ერთ ადგილს სტკეპნიან.

სიღნაღის რაიონის ხეედრითი წონა საშემოდგომო თესვაში მეტად სერიოზულია. წელს აქ უნდა დათესილიყო 44930 ჰექტარი. 15 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 9822 ჰექტარი (გეგმის 21,2 პროცენტი).

სუსტად ხელმძღვანელობენ თესვას თბილისის რაიონში. 23925 ჰექტარიდან დათესილია 5.902 ჰექტარი, გეგმის 24,7 პროცენტი. თბილისის რაიონწყანის ხელმძღვანელი მუშაკები დადიან კლეურნეობებში, მაგრამ მათი ხელმძღვანელი როლი არა სჩანს თესვის საქმეში. ასევე ითქმის თბილისის რაიონის მტს-ებზეც. ნუთუ რაიმეწყანებსა და მტს-ებს უხერხო მუშაობისათვის პასუხისმგებელი არ არიან! საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ლეკიშვილი და რაიონმისკომის თავმჯდომარე ამხ. მელიქიშვილი?

ბორჩალოს რაიონს, რომელმაც უნდა დათესოს 16417 ჰექტარი, გეგმა შესრულებული აქვს 3,6 პროცენტით. ეს იმის შედეგია, რომ საქ. კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანი ამხ. კახრამანოვი და რაიონმისკომის თავმჯდომარე ამხ. ალი ქასუმოვი თესვას სუსტად ხელმძღვანელობენ.

ყვარლის რაიონში ბევრი ლამაზი სიტყვები წარმოსთქვეს საშემოდგომო ხვნა-თესვის სანიმუშოდ შესრულების საკითხებზე, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოსდევს. თესვის გეგმა აქ შესრულებულია მხოლოდ 4,9 პროცენტით. როგორც სჩანს, საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი და მისი მდივანი ამხ. ჩიხლაძე არ გრძნობენ პასუხისმგებლობას თესვის შედეგებისათვის.

საერთოდ საქართველოში ძალიან ჩამორჩა ჯერშიანი თესლით თესვა. 15 ოქტომბრისათვის გეგმა შესრულებული იყო 25,7 პროცენტით. დრო ბოლო მოელის შეუწყნარებელ უდარდელობას ამ საქმეში.

საჭიროა სატრაქტორო პარკის სრული დატვირთვით გამოყენება, ცოცხალი გამწევი ძალის შეუფასებლობის აღკვეთა. ამასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გამოვრიცხოთ შრომის სწორი ორგანიზაცია და ძალთა სწორად განაწილება საკოლმეურნეო ბრიგადებში.

ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოები, რომ საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმების შესრულება ამჟამად ჩაშლის ის ფრთხილი წინაშე, თუ ისინი უახლოეს დღეებში არ გამოასწორებენ ჩამორჩენას.

ახლა, როცა თესვის დამთავრებისათვის დაწესებული ვადები ამოიწურა, თვითეული დღე უძვირფასესია დაკარგული დროის ასანაზღაურებლად. ეს მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, ხოლო პირველ რიგში კი რაიმეწყანებმა და მტს-ებმა. ჩაჩორჩენების ბოლშევიკურად დაძლევა, ხვნა-თესვის სახელმწიფო გეგმების მთლიანად, მაღალხარისხოვნად შესრულება ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საქმეა.

სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქის მშრომელნი ერთხმად ასახელებენ უზენაეს საბჭოში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის და მისი თანამებრძოლების კანდიდატურებს

პროლეტარული დედაქალაქი ასახელებს თავის კანდიდატებს

მოსკოვი, 21 ოქტომბერი (საკ. დესი). 20 ოქტომბერს მოსკოვის პირველ სამ საარჩევნო ოლქში დაიწყო ამომრჩეველთა კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურების წამოყენებისადმი.

დედაქალაქის ყველაზე უფრო მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ეწოდებიან ბოლშევიკის, მოლოტოვისა და პრომეტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე მდებარეობენ, გაიმართა ამ საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებები.

სტალინის ოლქში ამომრჩეველმა, რომლებიც მუშაობენ კუიბიშევის სახ. ელექტროქარხანაში, ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის საცდელ კონსტრუქციათა ქარხანაში, კავშირგაზის სახელობის სპეციალურ ქარხანაში, ფრუნზეს სახელობის ქარხანაში და ბალაკირევის სახ. ფაბრიკაში, განსაკუთრებული აღფრთოვანებით დაასახელეს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხალხთა ბელადი ამხანაგი **სტალინი**. ამომრჩევლებმა ერთხმად მიმართეს თხოვნით ამხანაგ **სტალინს** დათანხმდეს კენჭი იყაროს სტალინის საარჩევნო ოლქში.

ქ. მოსკოვის მოლოტოვის ოლქში მდებარე უდიდესმა საწარმოებმა ერთხმად დაასახელეს ოლქიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი.**

პროლეტარულ ოლქში წამყვანი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად დაასახელეს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის 1-ლი სახელმწიფო ბურთობ-სკ.ის ქარხნის ყოფილი მუშა-ქალი ამხ. **პიჩუგინა**, ამჟამად ამხ. პიჩუგინა არის მოსკოვის საბჭოს წევრი და მუშაობს ქ. მოსკოვის ტაგანსკის რაიონსაბჭოს თავმჯდომარედ.

ბოლშევიკის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი **ჟდანოვი**, რომელმაც ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

— ამხანაგებო, ჩვენ ვიკრიბებით ისეთ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ფართოდ ზეიმობს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ოცდაათი წლისთავს. ამ ოცდაათ წელიწადში ჩვენმა პარტიამ ბრძოლა გაუწია ბევრ ფრონტზე, ბევრ მტერს. ეს ბრძოლა ხშირად ძალიან მძიმე იყო. ჩვენ გვიწევდა ბრძოლა ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან, ზინოვიეველებთან, კამენეველებთან, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებთან, ტროცკისტ-ბუხარინელ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ფაშისტებთან. ეს ბრძოლა ძალიან მძიმე იყო. ჩვენ გვიწევდა ბრძოლა ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან, ზინოვიეველებთან, კამენეველებთან,

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა, რომლებმაც გამოიწვიეს მოსახლეობის უალრესად სწრაფი ზრდა ძველ ქალაქებში და ახალი დიდი სამრეწველო (ცენტრების შექმნა, გამოიწვიეს საცხოვრებელი ბინების მოთხოვნილების კვეთრად გადიდება.

ანბორციელებს რა საბინაო პოლიტიკას მზრუნველთა მატერიალური-საყოფაცხოვრებო დონის განუხრელი ამაღლების მიზნით, საბჭთა სახელმწიფო წლიდან-წლებით ადიდებს სახელმწიფოო სახსრების დაბანდებას ამაო საბინაო მშენებლობაში. 1937 წლის 1 იანვრისათვის ა"შენებულია 54 მილიონი კვად. მეტრი საბინაო ფართობი, რომლის ღირებულება 12½ მილიარდ მნეთს უდრის. მთელი ეს ახალი საბინაო ფონდი, ოქტომბრის რევოლუციის მიერ კაპიტალისტურ სახლთმფლობელთაგან ჩამორთმეულ სახლებთან ერთად, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, ე. ი. საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას.

მზრდელთა გაზრდილი მატერიალური და კულტურული დონე მოითხოვს სახელმწიფო საბინაო ფონდის სანიმუშოდ მოვლას.

ამაევე დროს, იმ უდიდესი საბინაო ფონდის გამოკენილობის და სარგებლობის არსებული წესი არაშეს თუ არ შეიფერება საბინაო ფონდის, როგორც სახელმწიფო ქონების, მოვლისა და მისი სანიმუშოდ შენახვის მოთხოვნებს, არამედ, პირიქით, ატარებს საბინაო მეურნეობის შემფერგადუვარგისებას. სახლების გამუდმებით დაუსრულებლად და იმ კანონმდებლობაში, რომელიც ამარომის შესახებ არსებობს და სადაც ნაჩვენებია, თუ ვინ და რა ფორმით უნდა აწარმოებდეს სახლების შეკეთებას, ბევრი გაურკვეველი და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებაა. ამის გამო ხშირად ვერ ვიგებთ, ვინ ვის ედავება, ვინ ვის ედავება, ვინ ვის ედავება

პარტიულ თემაზე

ათ თვეში მხოლოდ რვა კაცი მიიღეს!

განა ცოტანი არიან ბაბაშის რაიონში მოწინავე ადამიანები, უპარტიო ბოლშევიკები, ღვინო-სტალინის პარტიისათვის თავდადებული მუშაკები, რომლებიც ღირსნი არიან პარტიაში მიღებისა?!

არა! ისინი ცოტანი არ არიან... მათ ბაბაშს რაიონის ყველა სოფელსა და კოლმეურნეობაში ბევრს შეხვდებით. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ხშირად ნახავთ ისეთ საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციას, სადაც ამ არაპარტიულ ბოლშევიკებს მზრუნველობით ხელმძღვანელობდნენ, სადაც პარტიის რეზერვის კომუნისტურად აღზრდის საქმეს ყურადღებით ეკიდებოდნენ.

სოფ. ჭოლობანში, სტურუას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან რამდენიმე წლის წინათ ჩამოაყალიბეს თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელშიაც დღემდე მხოლოდ 4 კაცი მიიღეს. პირველადი პარტორგანიზაცია (ორგანიზატორი ს. მარტიროსოვი) თანამგრძნობებთან არავითარ პოლიტიკურ - აღმზრდელობითს მუშაობას არ ეწევა.

ფორმალურად არსებობს თანამგრძნობთა ჯგუფი ქორაშილოვის სახელობის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან. პარტორგ აკ. ჭობოლავას ერთხელაც არ მოუწვევია თანამგრძნობთა თათბირი, არ ჩაუბამს ისინი პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, არ აძლევს მათ დავალებებს, არ ზრუნავს თანამგრძნობთა იდეური დონის ამაღლებისათვის.

ბაბაშის რაიონის ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია მაინც და მაინც არც პარტიის წევრობის კანდიდატებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს უწევს სერიოზულ ხელმძღვანელობას. ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელნი კომკავშირელთა კომუნისტურად აღზრდას თავიანთ საქმედ არ სთვლიან. ამიტომაც ბაბაშის რაიონში პარტიის ზრდა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. 20 სექტემბრამდე პირველადმა ორგანიზაციებმა პარტკანდიდატებად მიიღეს მხოლოდ 8 კაცი. პარტიის წევრობის კანდიდატიდან 5, მაშინ, როდესაც რაიონში პარტიის წევრობას 95 კანდიდატია.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში მრავალრიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციაა, პარტიის კანდიდატებად 10 თვის განმავლობაში მიიღეს მხოლოდ 7 კომკავშირელი, თანამგრძნობებიდან კი—1.

მოუგვარებელია პარტიაში მისაღები ამხანაგების პარტდოკუმენტების გაფორმება. არის ისეთი შემთხვევები, რომ პარტიაში შეუმოწმებელ ადამიანებს იღებენ. მაგალითად, რაიაღმასკომის პირველადმა ორგანიზაციამ პარტიაში მიიღო თვალთმაქცი, შენინებული მტერი. მტრის პარტიულმა ორგანიზაციამ კანდიდატობიდან წევრად გადარიცხა 1924 წლის შენიშვაკურ ავანტურს მონაწილე პ. ცანავა. ამ არამზადას პარტიაში შესასვლელად რეკომენდაცია მისცეს კომუნისტებმა — ზ. ქორჩილავამ და პ. კაჭარავამ.

ყველა ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ რაიონის პარტიული ხელმძღვანელობა და ბევრი პირველადი პარტორგანიზაციის მუშაკები არასერიოზულად ეკიდებიან პარტიაში ახალი წევრების მიღებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რაიონული, პარტიული და სამთო რაიონის კოლმეურნეობა უფიქრიათ, რომ ბაბაშის რაიონის ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია უდაო ღირსების ადამიანებს პარტიაში მიიღებს. ასეთი ფიქრები ბაბაშის რაიონის ხელმძღვანელებს ძალიან გაუჭიანურეს, შემდეგ ნაჩქარევად „მოათავეს“ დამზადება და გაგზავნეს მაღაროში. მაღე გამოირკვა, რომ სკრუპერის ნაწილების ნახევარი გაუკეთებელი ყოფილა.

უხარისხოდ გააკეთეს აგრეთვე № 24 ქარხნის მოწყობილობებიც. როგორც სწანს, სახელოსნოს დირექტორს—სტეფანოვს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება სახელმწიფოდანაშაულია. როდემდის გააგრძელებს სტეფანოვი მთავარ სახელოსნოში ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას?

ზ. ცარციძე

აკ ზრუნავენ წინასაღლესასწაულო ბაზრობისათვის

ბორჯომის სავაჭრო ორგანიზაციები მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სავაჭრო დარგის სტახანოველთა მოწოდებას საქონელბრუნვის მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და სამთოს კულტურული ვაჭრობის სანმაწოდ დაყენების შესახებ დღემდე არ გამოხმაურებიან.

ბორჯომის ბაზარი სრულიად მოუწყობელია, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს (საქვაბრობა, კუთრატვაჭრობა, კოოპვაჭრობა) ხელმძღვანელები უდარდელობის სენით არიან შეპყრობილნი.

სავაჭრო ორგანიზაციები უნდა ჩაებან წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. დროა გაიმეღლოს პრაქტიკული მუშაობა წინასაღლესასწაულო ბაზრობის წარმატებით ჩასატარებლად.

ზრ. ლოგიძე

ლაგოდეხის რაიონის მიწგანის უფროსი აგრონომი ილია პატაშვილი აწარმოებს საინტერესო ცდებს სიმინდის ადრეული ჯიშების დარგვაში.
სურათზე: ამჟ. ი. პატაშვილი 2-წლიან ტუხეოს ხესთან.
ფოტო კ. დეტიგოვისა („ინფორმტოტის“ სპ. გაზეთი)

კარგად მოვემზადოთ ვენახის რგვისათვის

1940 წლისათვის კოლმეურნეობებში უნდა დავრგოთ ახალი ვენახი 28 ათას ჰექტარზე. ამით საკოლმეურნეო ვენახის ხვედრითი წონა აყვანილი იქნება 55 პროცენტამდე, ნაცვლად 1936 წლის 13 პროცენტისა. ძირითადად უნდა გაშენდეს მაღალხარისხოვანი ღვინის —შამპანურისა და ჩუფრის ჯიშები, რომელიც დამაკმაყოფილებელია ფილოქსერის გამძლე ამერიკულ საძირეზე.

სსრ-სამ. არტელის სტალინური წესდების განუხრელი შესრულებისა და სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვის საფუძველზე გაშენდება საკოლმეურნეო ვენახები. ამ ღონისძიების განხორციელება რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და სამეურნეოებს საშუალებას მისცემს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში და სამეურნეოებში ვაზის ნამყენები, სანერგეები და სადედეები საუკეთესოდ გამოიყურებიან.

მაგრამ ყველგან ასე როდია. მეღვინეობის განვითარების საკითხებისადმი უყურადღებობის ფაქტებს ზოგან კიდევ აქვს ადგილი. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფ. სანავარდოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ყულიევანი) გაშენებული აქვს ერთი ჰექტარი სადედე, ეს სადედე შარშან დაირგო, მაგრამ მას ცუდად უვლიან. იგი საერთოდ დაუფარავია სარეველა ბალახებით.

წელს საქართველოში უნდა დაირგოს 2830 ჰექტარი ვენახი. აქედან 1131 ჰექტარი გაშენდა გაზაფხულზე, დანარჩენი 1699 ჰექტარი კი ამ შემოდგომაზე უნდა გაშენდეს. მართალია, პლანტაციის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია, მაგრამ ზოგიერთ რაიონში ეს სამუშაო ისევ ჩამორჩენილია. ყვარლის რაიონს გეგმით გათვალისწინებული 212 ჰექტარის ნაცვლად პლანტაცია მომზადებული აქვს 186 ჰექტარზე, კასპისას—89 ჰექტარიდან 31-ზე, თბილისისას—138-დან 55-ზე.

ზოგიერთ რაიონს დღემდე არ დაუწყია სავენახედ მომზადებული ნაადგილიდან ნამუშების აღება და მისა გამოკვლევა ქირიანობის თვალსაზრისით, რაც საჭიროა აბრკოლებს.

ვაზის რგვის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა დაჩქარდეს პლანტაციის გაწმენდა და გადახვნა, ხარგეზების ხელით გამობარვა, სანენის ფართობების შემოღობა და სასრთოდ რგვისათვის ნიადაგების გულდასმით მომზადება, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას ვაზის განშენების გეგმის წარმატებით შესრულება.

ვ. ზოგიერაშვილი

წინასაოქტომბრო შეჯიბრების ცუდად ხელმძღვანელობენ

სოციალიზმის ქვეყნის მშრომელ ხალხს, გაძლიერებულ სტახანოვურ მოძრაობის ენერგიით, ენთუზიაზმით ემზადებიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეთვრამეტე წლისთავის შესახვედრად. ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროებისა და საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანები წარმატებით იბრძვიან გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სამწუხაროდ, ბაღდათის რაიონში წინასაოქტომბრო შეჯიბრება არ არის გამოლილი. წითელზვავის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ 29 სექტემბერს დაამუშავა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მიმართვა საქართველოს ყველა კოლმეურნისადმი — წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. ამ კოლმეურნეობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნათქვამია: ვადამდე და უდანაკარგოდ ავიღებთ უხვ საკოლმეურნეო დოვლათს, სწორად გავანაწილებთ მოსავალსა და შემოსავალს, ვადაზე ადრე დავამთავრებთ მძრაობელი ხვნის და სხვ. ასევე აქტიურად ჩაება შეჯიბრებაში ბაღდათის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა.

მაგრამ თუ რა კეთდება პრაქტიკულად ამ კოლმეურნეობებში, რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს ეს ნაკლებად აინტერესებთ. რაიონის მშრომელი მასების ყურადღება მობილიზებული არ არის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. სოფ. წითელხევის მოლოტოვისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებისათვის დღემდე საერთოდ არ ყოფილა.

განა ეს კოლმეურნეობა ღირსნი არ არიან მომზადებული ვერ შეხვდა შაქრის ჭარხლის გადამუშავებას. ქარხნის რემონტი 10 სექტემბრის ნაცვლად 28-ს დაამთავრეს. შაქრის ჭარხლის ამოღება კი 28 სექტემბრამდე დაიწყო. გორის ბეეჭ-ში მიზიდული 62.400 ცენტნერი ჭარხალი ლპება, რადგან აგარაში მისი გადაზიდვა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში (მეღვრეკისი, გარეჯვარი, ბერშეთი, ზემო-სობანისი, ნადარბაზევი და სხვ.) ყურადღება არ ექცევა ჭარხლის წესიერად დახარისხებას. ამ კოლმეურნეობებმა გამომ

მე-8 არმიის გმირული ბრძოლის შედეგად

იაპონია დაიწყო ჯენდინის ევაკუაცია, მოსპობილია იაპონიის ოკი ლეგიონი, ჩინელებმა ხელთ იგდეს ნინ-უ, ლაიუანი, ლინციუ და გუანლინი

ნანკინი, 19 ოქტომბერი (საკ-დესი). გაზეთი „ჯუნიანფაობაო“ ამტკიცებს, რომ ჩინეთის ჯარებმა 17 ოქტომბერს ხელთ იგდეს დეჯოუ და სანიუანი (დეჯოუს ჩრდილოეთით).

იაპონელებმა დაიწყეს ჯენდინის ევაკუაცია. იაპონიის უკან დახევას ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის ფრონტზე ჩინეთის წრეებში ხსნიან მანჯურიაში მომხდარი დიდი მღელვარებით. სენტრალ ნიუსის საააგენტო იუწყება, რომ კვანტუნის არმიამ დაიწყო თავისი ნაწილების გზავნა მანჯურიის მიმართულებით.

დიდი ბრძოლა სწარმოებს ნიანძიგუანის მთის გასასვლელის მახლობლად, შანხაის და ხებეის პროვინციების საზღვარზე. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ნხანძიგუანთან მოსპეს იაპონიის ორი ლეგიონი.

იაპონიის სამხარი მოქმედების ცენტრს წარმოადგენს შანხაის პროვინციის ჩრდილო-ნაწილი, 16 ოქტომბერს ბრძოლა სწარმოებდა იუ-ანინის და დაბაიშუის მახლობლად (სინკოუს დასავლეთით), სადაც თავმოყრილია ჩინეთის მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის მთავარი ძალები. ქალაქი იუანინი ჩინეთის ჯარების ხელშია.

ორი დღის ბრძოლების შედეგად იაპონელებმა 4 ათასი კაცი დაჰკარგეს. დიდი ზარალი ნახეს ჩინეთის ჯარის ნაწილებმაც.

დიდი აქტივობა გააჩაღეს პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც მე-8 არმიის ხელმძღვანელობით მოქმედებენ. იაპონელთა ზურგი პარალიზებულია. გზები, გარდა დატუნ-ნანკინ-გოსიანის მთავარი გზისა, დაანგრიეს ჩინეთის რაზმებმა. მთის ბევრი გასასვლელი ხელთ იგდეს პარტიზანებმა. ჩინითის დიდი ციდელი მახლობლად, სინკოუს ჩრდილო-დასავლეთით, ჩინეთის რაზმები გარშემორტყმენ იაპონიის დიდ რაზმს, რომელიც დაახლოებით 6 ათასი კაცისაგან შესდგება. იაპონიის მეორე რაზმი, რომელიც 2 ათასი კაცისაგან შესდგება, გარშემორტყმულია სინკოუს დასავლეთით. პარტიზანების აქტიური მოქმედების გამო დაქსაქსულმა იაპონელთა რაზმებმა დაჰკარგეს კავშირი თავიანთ ზურგთან.

უკანასკნელ დღეებში ჩინეთის რაზმებმა ხელთ იგდეს ნინ-უ, ლაიუანი, ლინციუ და გუანლინი.

საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს იანმინგუანის მთის გასასვლელი.

საქმესთან გაცნობილი წრეებიდან მიღებული ცნობების თანახმად, უახლოეს დღეებში უნდა მოველოდეთ რადიკალურ ცვლილებებს ჩრდილო ფრონტებზე.

ნანკინში მიღებული ოფიციალური ცნობებით. იაპონელებმა ბეიპინში ოფიციალურად განაცხადეს, რომ მე-8 არმიის წინააღმდეგ ისინი გამოიყენებენ გაზებს, ვინაიდან იგი „ანტიიაპონურ მოძრაობას ზურგში“.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის თბილისის ოლიმპიადა. ხოტარია და ამელა-შვილი (სამეურნეო დაწესებულებათა შუშაკების პროფკავშირი) ცეკვავენ ლეკურს.

ფოტო ბუდუშესკისა („სოიუზფოტოს“ სპ. განყ.)

ხალხური სიმღერისა და ცეკვის თბილისის ოლიმპიადა

18 ოქტომბერს „საქფილეგთის“ საზაფხულო თეატრში გაიხსნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის თბილისის ოლიმპიადა.

ოლიმპიადა დაიწყო პლეხანოვის სტუდენტების კლუბთან ქ. ლოღონიძის ხელმძღვანელობით არსებულ მუსრონგურთა და მეფუნდურეთა ანსამბლების გამოსვლით, რომელთაც შეასრულეს სიმღერები: „საკოლმეურნეო“, „სულიკო“, „ნეტავი, გოგო, მე და შენ“ და „შაირები“.

დამსწრეთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამავე კლუბის ოცეკვაკვე ბავშვთა ანსამბლის ცეკვებმა: „ბოლეკი